საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 51

04 04 2016 წელი

შ.პ.ს. ,,დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი"-ს 2016 წლის 28 მარტის N4-181 წერილის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 აპრილის სხდომის N7 ოქმის მე-5 საკითხის შესაბამისად შ.პ.ს. დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის 2016 წლის 28 მარტის N4-181 წერილისა და მოქალაქე ლეილა მამედოვას განცხადების გათვალისწინებით

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურის მონაწილეობით უზრუნველყოს მოქალაქე ლეილა მამედოვასათვის (პ/ნ. 28001018795) ერთჯერადად 850 ლარის გადარიცხვა, მისი შვილის, ტამერლან გასანოვის გერმანიაში გასამგზავრებლად, რომელიც არის შ.პ.ს. ,,დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი"-ს მერვე კლასის მოსწავლე და მიმდინარე წლის 9 მაისიდან 6 ივნისამდე მიემგზავრება გერმანიაში ენისა და კულტურის საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე